585
1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 8

1982

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 8 (462) აგვისტო 1982 წელი

## შინაარსი

### განყოფილება პირველი

241. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჭირნახულის მთლიანად შესანარჩუნებლად სრულიად საკავშირო ლაშქრობის გაშლისათვის სარატოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ინიციატივის რესპუბლიკაში მხარდაჭერისა და გავრცელების შესახებ

242. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე სასურსათო პროგრამის განხილვასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ.

### განყოფილება მეორე

243. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

244. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი კობახიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

245. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

246. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. პ. ბუაჩიძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

247. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აფხაზეთის ასსრ თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

248. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წულუკიძის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის გზით" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

249. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. დ. თავამაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

250. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. დ. მელიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

251. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. ბურდულის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

252. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. მურღულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

253. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

254. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ანჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

255. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ს. ბოგომოლოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

256. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. კანდელაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

257. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ქ. ი. მარგიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

258. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ქ. მ. ნიკოლაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

259. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ა. პაპინიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

260. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. გ. ჯღარკავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

261. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. იბიზა-დალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

262. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ქ. კავთია-შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

263. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. პ. მაღრა-ძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოე-ბის შესახებ.

264. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. შ. ფალა-ვას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

265. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. პ. ჭანტუ-რიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

266. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. რ. ჯავახა-ძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

267. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ს. ზენაი-შვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და-ჯილდოების შესახებ.

268. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

269. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ზ. არბო-ლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და-ჯილდოების შესახებ.

270. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. დ. ლორთ-ქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და-ჯილდოების შესახებ.

271. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. მ. ძვე-ლაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილ-დოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში
საინფორმაციო ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 241 ჭირნახულის მთლიანად შესანარჩუნებლად სრულიად საკავშირო ლაშქრობის გაშლისათვის სარატოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ინიციატივის რესპუბლიკაში მხარდაჭერისა და გავრცელების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, სოფლის მეურნეობის ორგანოებში პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით მშრომელთა ძალღონეს წარმართავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის დადგენილებათა უცილობელი რეალიზაციისათვის.

განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, მიუხედავად ამ წლის ამინდის მეტად არახელსაყრელი პირობებისა, წარმატებით წყდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დაყენებული ამოცანები. განსაზღვრულია სოფლის მეურნეობის მუშაკების მატერიალური და მორალური სტიმულირების ღონისძიებანი; მინდვრებსა და პლანტაციებში, მეცხოველეობის ფერმებში შექმნილია პირობები მაღალმწარმოებლური შრომისათვის; ფართოდ არის გაშლილი ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ, გადამმუშავებელი, დამამზადებელი, სატრანსპორტო და სავაჭრო ორგანიზაციების შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად; გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესანახი სიმძლავრეები.

ამასთან რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ცუდად მოემზადნენ ამ წლის მოსავლის აღება-ჩაბარებისათვის. ბევრ მეურნეობაში მკვეთრად დაეცა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა, ცალკეული კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები გაუმართლებლად ნელი ტემპით აწარმოებენ ბოსტნეულის, ხილისა და განსაკუთრებით მწვანე ჩაის ფოთლის აღება-გადამუშავებას, დაეცა საკვების დამზადების ტემპიც; რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სოფლის მეურნეობის სხვა საწარმოები ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას ვერ უთმობენ ადგილობრივი სასურსათო რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, წარმოებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. სერიოზული ნაკლოვანებებია მუშაობაში დანაკარგების თავიდან აცილებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფისათვის; წარმოებაში ნელი ტემპით ინერგება უნარჩენო და ნაკლებნარჩენიანი ტექნოლოგია, ზუგდიდელ და მახარაძელ მეჩაიეთა მაგალითისამებრ აღებული ნედლეულის ადგილზე გადამუშავებისათვის მიკროფაბრიკების მშენებლობის პრაქტიკა, აგრეთვე პროდუქციის შენახვის პროგრესული მეთოდები.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1982 წლის 29 ივლისს გაზეთ „იზვესტიაში" გამოქვეყნებულ სარატოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა მიმართვას: „გავშალოთ სრულიად საკავშირო ლაშქრობა — „მთლიანად შევინარჩუნოთ ჭირნახული!", რომელსაც თელავის რაიონის მშრომელებმა დაუჭირეს მხარი, დიდი მნიშვნელობა აქვს სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციისათვის.

მიმართვაში დაყენებული ამოცანები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების, დამამზადებელი, გადამმუშავებელი, სატრანსპორტო და სავაჭრო ორგანიზაციების ყველა რგოლის მიზანმიმართული მუშაობით.

მიმდინარე წლის მოსავლის დროულად უდანაკარგოდ აღების, გადამუშავების და შენახვის, რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი **საბჭოს** პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს და მხარი დაეჭიროს სარატოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ინიციატივას, რომელიც მოუწოდებს გაერთიანდეს დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების, სახალხო კონტროლიორების, „კომკავშირული პროჟექტორის" აქტივისტების, მთელი საზოგადოებრიობის ძალები მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის მოსავლის მთლიანად შენარჩუნებისა და დროულად გადამუშავების უზრუნველსაყოფად.

2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრომ, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა განახორციელონ სათანადო ორგანიზატორული მუშაობა თელავის რაიონის მშრომელების მიერ მხარდაჭერილი სარატოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოების ინიციატივის ფართოდ გასავრცელებლად, ამასთან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების აგროსამრეწველო კომპლექსების საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების ძალ-ღონე მიმართონ 1982 წლის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანად შენარჩუნების უზრუნველსაყოფად, რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის წარმატებით სარეალიზაციოდ.

3. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა:

— შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსავლის აღების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შენახვის, გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიდვისა და გადამუშავების დროს დანაკარგებთან ბრძოლის გაძლიერებას, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებას, ნედლეულის, სათბობის, საცხებ-საწვავი მასალების, ენერგეტიკული და სხვა რესურსების მომჭირნედ ხარჯვას, შრომის სწორ ორგანიზაციას, ყველა შრომით კოლექტივში სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებას;

— ყოველნაირად შეუწყონ ხელი შრომით კოლექტივებში სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას მოსავლის ასაღები სამუშაოების წარმატებით ჩატარებისათვის, მოწეული მოსავლის მთლიანად შენარჩუნებისათვის და დროულად გადასამუშავებლად.

— შექმნან შრომისა და დასვენების ნორმალური პირობები მინდვრებში, პლანტაციებსა და სხვა საწარმოო უბნებზე; გადაწყვიტონ სამუშაო ადგილებზე მშრომელთა კვებით უზრუნველყოფის საკითხი;

— შექმნან ყველგან დეპუტატთა საგუშაგოები; სახალხო კონტროლის ორგანოებთან, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან ერთად მკაცრი კონტროლი დააწესონ მოსავლის ხარისხიანად აღების, გადაზიდვისა და გადამუშავებისადმი;

— საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე სისტემატურად მოისმინონ მოსავლის უდანაკარგოდ აღებასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები, მიიღონ გადამწყვეტი ზომები ყველა საწარმოო უბანზე მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ასამაღლებლად.

— ყოველმხრივ დაუჭირონ მხარი სასოფლო-სამეურნეო წაროებაში მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად მიმართულ შრომითი კოლექტივების, დეპუტატების, წარმოების მოწინავეთა ინიციატივას;

— ოპერატიული რეაგირება მოახდინონ დეპუტატების, დეპუტატთა საგუშაგოების, სახალხო კონტროლიორთა, პროფკავშირის და კომკავშირის აქტივისტების სიგნალებზე, ქმედითი ზომები მიიღონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აღების, გადაზიდვის, გადამუშავების, შენახვისა და რეალიზაციის დროს დანაკარგების სალიკვიდაციოდ. შემოიღონ მატერიალური და მორალური სტიმულირების ახალი ფორმები.

4. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის ინიციატივა ჭირნახულის უდანაკარგოდ და შემჭიდროებულ აგროტექნიკურ ვადებში ასაღებად სიღნაღისა და თეთრი წყაროს რაიონებში მოსავლის ამღებ-სატრანსპორტო ბრიგადების შექმნის შესახებ.

რესპუბლიკურმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ ფართოდ გააშუქონ სიღნაღელ მექანიზატორთა ინიციატივა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამს ღრმა რწმენას, რომ იხელმძღვანელებენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, 1982 წლის 31 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში მოცემული მითითებებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII და IX პლენუმების გადაწყვეტილებებით სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი ორგანოები, ყველა საფეხურის საბჭოების დეპუტატები, რესპუბლიკის სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები და უწყებები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სრულიად საკავშირო ლაშქრობაში: „მთლიანად შევინარჩუნოთ ჭირნახული!" და ძალ-ღონეს არ დაზოგავენ სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციისა და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 5 აგვისტო.

## დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 242 საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე სასურსათო პროგრამის განხილვასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე სასურსათო პროგრამის განხილვასთან დაკავშირებით შემოსული წინადადებები და შენიშვნები განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, შესაბამის სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და დაევალოთ მათ განხილვის შედეგები აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1982 წლის 1 ნოემბრამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 243 მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“** დაჯილდოვდნენ:

**კობახიძე** როლანდ შალვას ძე — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
**მარგველაშვილი** სარა ვასილის ასული — პასპორტების გამწერი.
**ფახურიძე** ავთანდილ ვალიკოს ძე — მილიციის უფროსი ლეიტენანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 26 აგვისტო.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 244 ამხ. ვ. ი. კობახიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრს ამხ. ვლადიმერ ილიას ძე **კობახიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 12 აგვისტო.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 245 საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობასთან და პიონერებთან ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 60 წელთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატო **წოდება:**

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

**„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“**

**ბოლქვაძეს** რევაზ კალისტრატეს ძეს — ქ. ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკის დირექტორს.

**ბურჯანაძეს** თინა გრიგოლის ასულს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სასწავლო სექტორის გამგეს.

**გაბელიას** ზორაიდა ძოთას ასულს—ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის თეატრალური სექტორის გამგეს.

**ვახტანგაძეს** ნოდარ ივანეს ძეს — ქ. ჭიათურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორს.

**იმნაიშვილს** თალიკო ნოეს ასულს — ლანჩხუთის რაიონის შუხუთის საშუალო სკოლის უფროს პიონერხელმძღვანელს.

**ირემაშვილს** ლუიზა ალექსანდრეს ასულს — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელს.

**ლასკარს** იზოლდა გრიგოლის ასულს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის საზაფხულო სამუშაოების სექტორის გამგეს.

**მიქაბერიძეს** ირინე პეტრეს ასულს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის უფროს პიონერხელმძღვანელთა კაბინეტის გამგეს.

**მუავიას** ციური გერმანეს ასულს — ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორს.

**ოგანეზოვს** პავლე სერგოს ძეს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის კომკავშირული მუშაობის კაბინეტის გამგეს.

**ქუთათელაძეს** მერი ირაკლის ასულს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სკოლისგარეშე მუშაობის სექტორის გამგეს.

**ჩიტაიას** ციკო (ალისა) მიხეილის ასულს — პიონერმუშაკების რესპუბლიკური სკოლის დირექტორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი“**

**ოგანეზაშვილს** ლილი ივანეს ასულს — გაზეთ „პიონერსკაია პრავდას“ სპეციალურ კორესპონდენტს.

**ფაილოძეს** ნათელა ილარიონის ასულს — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორის მოადგილეს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**

**გოდერძიშვილს** ნოდარ ივანეს ძეს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილეს.

**პრონინს** ვიქტორ იაკობის ძეს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქორეოგრაფიული წრის აკომპანიატორს.

**ჩიგოგიძეს** გრიგოლ გრიგოლის ძეს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის კინოსტუდია „პიონერფილმის" ხელმძღვანელს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი"

**სარაულს** მერი ნიკოლოზის ასულს — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ქანდაკების კაბინეტის პედაგოგს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 18 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 246 ამხ. თ. პ. ბუაჩიძისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ლიტერატურათმცოდნეობის დარგში დიდი დამსახურებისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თენგიზ პავლეს ძე **ბუაჩიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 18 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 247 აფხაზეთის ასსრ თეატრალური ხელოვნების მოღვაწეთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ქართული და აფხაზური საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისა და ნაყოფიერი საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი"

**ქავთარაძეს** გიორგი გიორგის ძეს — სოხუმის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლონიას ეთერ კონსტანტინეს ასულს — აფხაზეთის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარეს.

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი"

აგრბას რომან გიორგის ძეს — საქართველოს თეატრალური საზოგადოების სოხუმის დასასვენებელი სახლის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 23 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 248 წულუკიძის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის გზით" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად რაიონის შრომითი კოლექტივების დარაზმვაში აქტიური მონაწილეობისათვის და პირველი ნომრის გამოსვლის 50 წელთან დაკავშირებით წულუკიძის რაიონული გაზეთი „კომუნიზმის გზით" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 12 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 249 ამხ. შ. დ. თავამაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის წევრი — კადრების განყოფილების უფროსი ამხ. შოთა დავითის ძე თავამაიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1982 წლის 12 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 250 ამხ. ლ. დ. მელიქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, ახალი ქიმიური შენაერთებისა და მეთოდების შემუშავებისა და სახალხო მეურნეობაში დანერგვისათვის, აგრეთვე დაბადების სამოცდაათ და სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცდახუთ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. გ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ლაბორატორიის გამგე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლეონიდ დავითის ძე მელიქაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 12 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 251 ამხ. ვ. ა. ბურდულის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ამხ. ვიქტორ ალექსის ძე **ბურდული** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 13 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 252 ამხ. ს. ს. მურღულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქვეყნის მანქანათმშენებლობის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორი ამხ. სერგო სერაპიონის ძე **მურღულია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 13 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 253 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მოსწავლე ახალგაზრდობასთან და პიონერებთან ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის 60 წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

**ბასიშვილი** ვენერა ნიკოლოზის ასული — სამხრეთ ოსეთის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი.

**ბახტაძე** გურამ პოლიკარპეს ძე — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის საბავშვო გადაცემათა მთავარი რედაქციის რედაქტორი.

**ბეჟანიშვილი** რუსუდან გიორგის ასული — გორის რაიონის სვენეთის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

**ბეთეევი** ლუდმილა სერგის ასული — ცხინვალის რაიონის ვანათის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

**გამსახურდია** რუსუდან ნიკოლოზის ასული — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის საბავშვო სატელევიზიო გადაცემათა მთავარი რედაქტორის მოადგილე.

**გორდაძე** ლალი მიხეილის ასული — ქ. თბილისის ლენინის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი.

**დემურაძე-მირიანაშვილი** ლალი გიორგის ასული — ქ. თბილისის 47-ე საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ეპიტაშვილი** გიორგი გიორგის ძე — ნორჩ ტექნიკოსთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი.

**ზედგინიძე** სონია იასონის ასული — ასპინძის რაიონის ძველის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

**ლეკიშვილი** ლუიზა დავითის ასული — წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

**ლუკავა** ჯუტი გერასიმეს ასული — ქ. გორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი.

**მიქაძე** იოსებ ალექსანდრეს ძე — ბ. ძნელაძის კომკავშირული ქალაქის კომკავშირული და პიონერული კადრებისა და აქტივის მომზადება-გადამზადების რესპუბლიკური ცენტრის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე.

**ულენტი** თეიმურაზ გიორგის ძე — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი.

**სამხარაძე** ჯემალ ივანეს ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექტორი.

**სურმავა** ამალია ალბორის ასული — გურჯაანის რკინიგზის № 17 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

**ქაჯაია** ფოთოლა ლევანის ასული — ქ. ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი.

**შელია** ბაბულია აკაკის ასული — ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორი.

**ჩოჩია** კლავა როდიონის ასული — ქ. ფოთის № 1 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

**ცერცვაძე** ივანე ნიკოლოზის ძე — გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი.

**ძოწენიძე** გურამ ვასილის ძე — ქ. ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი.

**ხანდოლიშვილი** თამარ მიხეილის ასული — სიღნაღის რაიონის საქობოს საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

**ხმალაძე** ლიანა ვლადიმერის ასული — ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი. 1982 წლის 18 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 254 ამხ. ა. ვ. ანჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ამირან ვარლამის ძე ანჯაფარიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 18 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 255 ამხ. ი. ს. ბოგომოლოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რუსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთკავშირის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთან დაკავშირებით მწერალი იგორ სიმონის ძე ბოგომოლოვი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 18 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 256 ამხ. ნ. ა. კანდელაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის მწერალი ნანა არჩილის ასული კანდელაკი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 18 აგვისტო.

ბიბლიოთეკა

17293

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 257 ამხ. კ. ი. მარგიევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ოსური საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი კოსტა იოსების ძე მარგიევი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 18 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 258 ამხ. კ. მ. ნიკოლაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის გაზის მეურნეობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საწარმოო გაერთიანება „საქტარნსგაზის“ დირექტორი ამხ. კარლო მანასეს ძე ნიკოლაიშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 18 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 259 ამხ. ბ. ა. პაპინიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის მეორე განყოფილების უფროსის მოადგილე ამხ. ბორის არტემის ძე პაპინიანი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 18 აგვისტო.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 260 ამხ. ლ. გ. ჯღარკავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

იუსტიციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ამხ. ლევან გიორგის ძე ჯღარკავა დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 18 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 261 ამხ. შ. ი. ზარდალიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. შოთა ივანეს ძე **ზარდალიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 23 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 262 ამხ. გ. ქ. კავთიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, კომკავშირულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. გიორგი ქრისტეფორეს ძე **კავთიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 263 ამხ. ტ. პ. მაღრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი უმწიკვლო მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის თანამშრომელი ამხ. ტასო პეტრეს ასული მაღრაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 23 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 264 ამხ. ი. შ. ფაღავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი იუსუფ შევქეთის ძე ფაღავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 23 აგვისტო.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 265 ამხ. ტ. პ. ჭანტურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ტარიელ პროკოფის ძე ჭანტურია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 23 აგვისტო.

ეროვნული

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**266** ამხ. ვ. რ. ჯავახაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ვახტანგ რომანოზის ძე ჯავახაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 23 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**267** ამხ. ე. ს. ზენაიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატში აქტიური და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. ემზარ სევერიანის ძე **ზენაიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 26 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**268** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**ასანიშვილი** ავთანდილ ვლადიმერის ძე — ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის დირექტორი.

**ბერიძე** გურამ გიორგის ძე — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის № 1 ტრესტის მთავარი ინჟინერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
მუხ. 268

**გაზაევი** ხაზბი ქრისტეფორეს ძე — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 13 საგვირაბე რაზმის ხუროთა ბრიგადის ბრიგადირი.

**ვახტანგაშვილი** გივი იოსების ძე — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოთა გაერთიანების სამშენებლო სამუშაოთა მწარმოებელი.

**ვერნიცკი** ლეონიდე მარიანეს ძე — საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტთან არსებული სცენის ტექნოლოგიისა და ტექნიკის საექსპერიმენტო-საკონსტრუქტორო ლაბორატორია-სახელოსნოს უფროსი.

**თალტაევი** ისიდორე ზაქარიას ძე — „ცხინვალმშენის“ № 11 ტრესტის მებათქაშეთა ბრიგადის ბრიგადირი.

**თელიანიდი** მიხეილ აგაფონგელიანეს ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის ქვის მთლელი.

**მირცხულავა** ლევან გერმანეს ძე — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მთავარი რეჟისორი.

**სანებლიძე** თორნიკე ვლადიმერის ძე — საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგე.

**სხირტლაძე** სიმონ მალაქიას ძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღო-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს აგროუბნის მუშა.

**ძუგუევი** კასპოლ ილიას ძე — „ცხინვალმშენის“ № 11 ტრესტის კალატოზთა ბრიგადის ბრიგადირი.

**ჩულკოვი** ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტის მემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირი.

**ცომაია** მელოდი მაკარის ძე — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 13 ტრესტის მმართველის მოადგილე.

**ხახანოვი** დუდარ სოლომონის ძე — კომპოზიტორი, ჩრდილოეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 269 ამხ. დ. ზ. არბოლიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ გეოლოგიის განყოფილების უფროსი გეოლოგი ამხ. დიმიტრი ზურაბის ძე **არბოლიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 30 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 270 ამხ. მ. დ. ლორთქიფანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისა და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი მარიამ დავითის ასული **ლორთქიფანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 30 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 271 ამხ. დ. მ. ძველაიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“ სატრანსპორტო განყოფილების უფროსი ინჟინერი ამხ. დავით მიხეილის ძე **ძველაია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 30 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1982 წლის 26 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. რამდენიმე განსახილველი საკითხი ეხებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანებს და სარატოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა თაოსნობას. სხდომაზე საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის მინისტრმა ამხ. თ. კ. ჯაბადარმა გააკეთა ინფორმაცია „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად და სარატოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა თაოსნობის საპასუხოდ საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ". სამინისტროს დაევალა:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII და IX პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად და სასურსათო პროგრამის წარმატებით სარეალიზაციოდ უფრო ფართოდ გაშალოს მუშაობა მოსავლის უდანაკარგოდ ასაღებად, პროდუქციის წარმოების სახელმწიფო გეგმებისა და აღებული სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად;

მეტი ყურადღება მიაქციოს მუშაობას ლილოს ხილბოსტნეულის კომბინატის და ხილბოსტნეულის შესანახი სხვა ბაზების ზამთრის პერიოდისათვის მოსამზადებლად. უზრუნველყოს პროდუქტების შენახვის დავალებათა შესრულება, შენახვის რეჟიმის დაცვა და დანაკარგების მინიმუმამდე შემცირება;

იზრუნოს მოსახლეობის ხილბოსტნეულითა და კარტოფილით შეუფერხებელი მომარაგებისათვის; აღმოფხვრას ნაკლოვანებები ვაჭრობის ქსელის მუშაობაში, გააუმჯობესოს სარეალიზაციო პროდუქციის ხარისხი და მომხმარებელთა მომსახურება;

გააძლიეროს მუშაობა ჭირნახულის მინდვრიდან დატაცების აღსაკვეთად; აამაღლოს საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების დაცვის, მოსავლის უდანაკარგოდ აღების, აღრიცხვისა და შენახვის საქმეში სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ:

უფრო აქტიურად ჩააბან ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები, დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები, სახალხო კონტროლიორები, კომკავშირული და პროფკავშირული აქტივი და სოფლის კორესპონდენტები ჭირნახულის უდანაკარგოდ აღებისა და დაბინავებისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში;

მიიღონ სათანადო ზომები სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო სტანდარტების დაცვისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა



განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ზამთრის პერიოდისათვის შესანახად განკუთვნილი პროდუქტების შერჩევისა და დახარისხების საქმეს;

აამაღლონ ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების და სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად, გააძლიერონ ბრძოლა მინდვრიდან ჭირნახულის დატაცების აღსაკვეთად.

* *
*

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მოისმინა რა ლაგოდეხისა და მარნეულის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა ამხ. ამხ. ა. გ. კაპანაძის და ზ. ა. იმანოვას ინფორმაციები აღნიშნულ რაიონებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულების მიმდინარეობისა და ჭირნახულის მთლიანად შესანარჩუნებლად ლაშქრობის გაშლისათვის მუშაობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელობენ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 31 მაისის დადგენილებებით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში მოცემული მითითებებით და საქართველოს კომპარტიის VII და IX პლენუმების დადგენილებებით, ლაგოდეხისა და მარნეულის სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა პარტიის რაიონული კომიტეტების ხელმძღვანელობით გააძლიერეს ორგანიზატორული მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის და მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად მშრომელთა დასარაზმავად.

ლაგოდეხის რაიონში ადგილობრივი საბჭოების სესიების გარდა ჩატარდა სოფლის ყრილობებიც, რომლებზეც გაიმართა კონკრეტული საუბარი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არახელსაყრელი ამინდის პირობებით გამოწვეული სიძნელეების გადალახვისა და მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის, სასურსათო პროგრამის წარმატებით სარეალიზაციოდ სოფლის თითოეული მშრომელის წინაშე მდგომი ამოცანების თაობაზე. ანალოგიური მუშაობა ჩატარდა მარნეულის რაიონშიც.

ჭირნახულის მთლიანად შესანარჩუნებლად სრულიად საკავშირო ლაშქრობისათვის სარატოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა თაოსნობით გაშლილმა მოძრაობამ ფართო მხარდაჭერა პოვა აღნიშნულ რაიონებში, კიდევ უფრო გაააქტიურა ადგილობრივი საბჭოების, დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების საქმიანობა საიუბილეო წელს მაღალი მიჯნების მისაღწევად.

ლაგოდეხის რაიონში მუშაობს 14 დეპუტატთა ჯგუფი, 132 დეპუტატთა საგუშაგო, რომლებშიც 456 დეპუტატია გაერთიანებული; მათ სახალხო კონტროლიორებთან, „კომკავშირული პროჟექტორის“ და პროფკავშირის აქტივისტებთან ერთად კონტროლი დააწესეს მოსავლის აღება-გადაზიდვა, შენარჩუნებასა და გადამუშავებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლის აღების პერიოდისათვის მარნეულის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში შექმნილია და მოქმედებს 63 დეპუტატთა ჯგუფი და 103 დეპუტატთა საგუშაგო, აგრეთვე სახალხო კონტროლის 118 ჯგუფი.

ზემოაღნიშნულ რაიონებში დიდი მუშაობა მიმდინარეობს დამატებითი რეზერვების ძიებისათვის. აქტიურად ებმებიან რა წინასაიუბილეო შეჯიბრებაში, სოფლის მშრომელები იღებენ მაღალ, კონკრეტულ ვალდებულებებს.

მარნეულის რაიონის წერეთლის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა ინიციატივით ჩაებნენ საერთო საკავშირო ლაშქრობაში და საშემოდგომო ხორბლის მოსავლის აღება 10 დღეში დაამთავრეს. მოწინავე მექანიზატორის, სოფლის საბჭოს დეპუტატის ვ. სამხარაძის ინიციატივით შეიქმნა კომპლექსური მოსავლის ამღები სატრანსპორტო რაზმი, რომელსაც სპეციალურად შემუშავებული განრიგით გადაჰქონდა მარცვალი ელევატორამდე; ამან შესაძლებელი გახადა ყოველდღიურად გამოეთავისუფლებინათ 8 ავტომანქანა და მარცვლეული ვადაში და უდანაკარგოდ აეღოთ. ქურთლარის სასოფლო საბჭოს დეპუტატებმა — დეპუტატთა საგუშაგოების ხელმძღვანელებმა გ. კურბანოვმა, ი. კასუმოვმა განრიგის გასწრებით აიღეს ადრეული კარტოფილი და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს 1000 ტონა ჩააბარეს.

დეპუტატთა ჯგუფის ინიციატივითა და აქტიური მონაწილეობით ლაგოდეხის საკონსერვო ქარხანასთან აშენდა 800 ტონა ტევადობის მაცივარი. სოფელ ბაისუბანში სასოფლო საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის აქტიური მონაწილეობით მთავრდება ღვინის ქარხნის მშენებლობა, რომელიც ყოველდღიურად 800 ტონა ყურძენს გადაამუშავებს; მარნეულის რაიონის მთიან ზონაში დასახულია აშენდეს საძროხეები 200 სულისათვის, რაც შესაძლებელს გახდის ძროხების სულადობა 600-ით გაიზარდოს; ამასთან, დამატებით მიიღებენ 1500 ტონა რძესა და 200 ტონა ხორცს: ამას გარდა ზონის ყოველ მეურნეობაში აშენდება საღორე 100 დედა ღორისათვის, რაც ყოველწლიურად 300 ტონით გაზრდის ღორის ხორცის წარმოებას.

ორივე რაიონში გამოძებნილია სოფლის მშრომელთა მორალური და მატერიალური წახალისების ახალი ფორმები. გაუმჯობესდა უშუალოდ მინდვრებში ცხელი საჭმლის მიწოდების ორგანიზაცია.

მაგრამ დასახელებულ რაიონებში ჯერ კიდევ მთლიანად არ გამოიყენება არსებული რეზერვები და ყველა შესაძლებლობანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გასაფართოებლად და მოსავლის მთლიანად შესანარჩუნებლად.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების ორგანიზატორულ მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ფორმალიზმს. ლაგოდეხის და მარნეულის რაიონების ზოგიერთმა ადგილობრივმა საბჭომ ვერ შეძლო სოფლის ყველა მშრომელის დარაზმვა მუშაობის მაღალი შედეგების მისაღწევად.

№ 8
ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილი, განსაკუთრებით მარნეულის რაიონში, თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, ან გაცხოველებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების პერიოდში არ გამოიმუშავებს კაცდღის სავალდებულო მინიმუმსაც კი.

თუმცა დეპუტატთა ჯგუფები და საგუშაგოები შექმნილია ყველგან, ბევმათგანი გვერდს უვლის უყაირათობისა და უპასუხისმგებლობის ფაქტებს, დროულად არ ღებულობს ზომებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დიდი დანაკარგების სალიკვიდაციოდ, რასაც ჯერ კიდევ აქვს ადგილი.

ზოგიერთი დეპუტატთა საგუშაგო არ აღკვეთს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დატაცებისა და სპეკულაციის ფაქტებს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ლაგოდეხისა და მარნეულის სახალხო დეპუტატთა საბჭოებსა და მათ აღმასრულებელ კომიტეტებს:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებათა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 31 მაისის დადგენილების და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII და IX პლენუმების გადაწყვეტილებების მოთხოვნათა შესაბამისად უფრო ფართოდ გაშალონ ორგანიზატორული მუშაობა სასურსათო პროგრამის წარმატებით სარეალიზაციოდ და საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად სოფლის მშრომელთა დარაზმვისათვის;

გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გასადიდებლად ყველა რეზერვის გამოყენებისათვის, მოსავლის აღების, გადამუშავებისა და დაბინავების დროს მუშაობის ყველა უბანზე დანაკარგების მაქსიმალურად შემცირებისათვის; ამ საქმეში ფართოდ დაეყრდნონ ჰირნახულის მთლიანად შესანარჩუნებლად სრულიად საკავშირო ლაშქრობისათვის სარატოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა თაოსნობით გაშლილ მოძრაობას;

მიაღწიონ შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, რესურსების მომჭირნეობას და უყაირათობის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების განიავების და დატაცების ფაქტების აღკვეთას.

უფრო ფართოდ გამოიყენონ მშრომელთა მორალური და მატერიალური წახალისების სხვადასხვა ფორმები და ყველგან უზრუნველყონ შრომის სათანადო პირობების შექმნა, განსაკუთრებით კვების კარგი ორგანიზაცია;

საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, მუდმივი კომისიების სხდომებზე ოპერატიულად განიხილონ მოსავლის აღების, დაბინავებისა და გადამუშავების მიმდინარეობასთან დაკავშირებული საკითხები; აამაღლონ სახალხო დეპუტატთა ჯგუფებისა და საგუშაგოების როლი ამ მუშაობის ყოველ უბანზე.

ლაგოდეხისა და მარნეულის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა ამხ. ამხ. ა. გ. კაპანაძის და ზ. ა. იმანოვას ინფორმაციებში დაყენებული საკითხები განსახილველად გადაეგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ საავტომობილო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსპორტის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტს.

* *
*

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის მზადებასთან დაკავშირებით წითელწყაროს რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ წითელწყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. მ. კ. გუნჩენკოს ანგარიშის მოსმენისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სსრ პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების საქმეში საქართველოს კომპარტიის ამოცანების თაობაზე" საქართველოს კომპარტიის IX პლენუმის დადგენილების შესაბამისად წითელწყაროს რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა პარტიის რაიკომის ხელმძღვანელობით გაშალეს სათანადო მუშაობა საიუბილეო თარიღის ღირსეულად შესახვედრად.

რაიონის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, მშენებლობებზე, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში, კულტურის, განათლების და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებში ფართოდ გაიშალა წინასაიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება.

რაიონის მშრომელებმა ვალდებულება აიღეს 1982 წლის სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა 28 დეკემბრისათვის შეასრულონ, გეგმის გადამეტებით აწარმოონ 2500 ათას მანეთზე მეტი პროდუქცია; გადიდებული ვალდებულებებია ნაკისრი მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების დარგში.

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებამ განაპირობა მრეწველობის პროდუქციის გამოშვებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის 6 თვის გეგმების შესრულება.

სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა 102 პროცენტით არის შესრულებული, კვერცხისა — 109, მატყლისა — 101,6 პროცენტით. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის გეგმა 105 პროცენტით შესრულდა, ღორის — 103, ცხვრისა და თხის — 138 პროცენტით. წარმატებით სრულდება გზებისა და დასახლებული ადგილების კეთილმოწყობისათვის აღებული ვალდებულებანი.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კლუბსა და ბიბლიოთეკაში მოწყობილია სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისა და გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენები, გამოდის სპეციალური კედლის გაზეთები, ეწყობა საუბრები, ლექცია-მოხსენებები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები რევოლუციური ბრძოლებისა და დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური შრომის გმირებთან.

რაიონული გაზეთი „ახალი შირაქი“ და ადგილობრივი რადიოგადაცემები ფართოდ აშუქებენ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მზადების მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა წითელწყაროს რაიონის ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა წითელწყაროს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს:

სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმისა და „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების საქმეში საქართველოს კომპარტიის ამოცანების თაობაზე“ საქართველოს კომპარტიის IX პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე:

უზრუნველყოს, რომ ადგილობრივმა საბჭოებმა, მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა და საბჭოების მუდმივმა კომისიებმა რეგულარულად შეისწავლონ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული თითოეული სამრეწველო, სამშენებლო საწარმოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საქმიანობა და მიიღონ საჭირო ზომები გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის;

მიაღწიოს სოფლის მეურნეობასა და ადგილობრივ მრეწველობაში არსებული რეზერვების და შრომითი რესურსების რ..ციონალურად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და შრომის დისციპლინის განმტკიცებას; განახორციელოს რაიონში სათანადო მუშაობა სარატოვის ოლქის სახალხო დეპუტატთა ინიციატივის — „მთლიანად შევინარჩუნოთ ჭირნახული!“ მხარდასაჭერად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანად შენარჩუნების უზრუნველსაყოფად; მკვეთრად გააუმჯობესოს საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა და იგი უფრო მჭიდროდ დაუკავშიროს კონკრეტული პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას; სრულყოს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციული ფორმები, განაზოგადოს და გაავრცელოს მშრომელთა სასარგებლო ინიციატივა და დეპუტატთა თაოსნობა;

მიიღოს ზომები მოსახლეობის სამედიცინო, სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეს, ქმედითი ზომები მიიღოს დანაშაულის წარმომშობი მიზეზებისა და პირობების აღმოსაფხვრელად; დისციპლინის დამრღვევთა და შრომისაგან თავის ამრიდებელთა მიმართ შექმნას შეუწყნარებლობის ატმოსფერო, ყოველი ასეთი შემთხვევა გახადოს სოფლის ყრილობებისა და მშრომელთა კრებების მსჯელობის საგანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილობრივი გაზეთისა და რადიოს საშუალებით ფართო ინფორმაცია მიაწოდოს მოსახლეობას სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე.

* *

*

მოისმინა რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. ო. ვ. მელქაძის ინფორმაცია საარჩევნო ოლქში მის მიერ გაწეული მუშაობისა და დეპუტატთა ჯგუფის მუშაობის შესახებ ახალქალაქის რაიონში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ დეპუტატ ო. ვ. მელქაძეს მჭიდრო კავშირი აქვს ამომრჩევლებთან, აცნობს მათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუშაობას, განუმარტავს სკკპ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, გულდასმით იხილავს ამომრჩეველთა წინადადებებსა და შენიშვნებს და იღებს ზომებს მათი სწორი და დროული გადაწყვეტისათვის.

პრეზიდიუმი განსაკუთრებით აღნიშნავს დეპუტატთა ჯგუფის აქტიურ საქმიანობას, რომლის შემადგენლობაში არიან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ბარალეთის კოლმეურნეობის მწველავი რ. გ. ხეჩოიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ო. ვ. მელქაძე, სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ვ. ა. პატეიშვილი, საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი გ. ს. შუღაროვი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. მ. საარიანი, ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკის მწველავი ა. ი. გაბრიელიანი, ახალქალაქის რაიონის კლარა ცეტკინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ს. ხ. ქოჩოიანი.

საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის აქტიური მხარდაჭერითა და ხელშეწყობით დეპუტატთა ჯგუფი რაიონში ეწევა კარგად გააზრებულ, მიზანდასახულ მუშაობას „ახალქალაქის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 13 ნოემბრის დადგენილების რეალიზაციის საქმეში კონტროლისა და დახმარების გასაწევად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა დეპუტატ ო. ვ. მელქაძის საქმიანობა საარჩევნო ოლქში და მუშაობა, რომელსაც ეწევა დეპუტატთა ჯგუფი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების შემადგენლობით ახალქალაქის რაიონში და გამოცდილების გაცვლის მიზნით ამხ .ო. ვ. მელქაძის ინფორმაცია დაუგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს.

საქართველოს სსრ სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს, რომელთაც ეხებათ ახალქალაქის რაიონის ამომრჩეველთა წინადადებები და შენიშვნები, დაევალათ გულდასმით განიხილონ ისინი და შედეგების შესახებ აცნობონ დეპუტატ ო. ვ. მელქაძეს, ახალქალაქის რაიონის დეპუტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა ჯგუფს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ამა წლის სექტემბრის ბოლომდე.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ ყველანაირად შეუწყონ ხელი ახალქალაქის რაიონის დეპუტატთა ჯგუფის გამოცდილების დანერგვას, რომელმაც გამონახა „ახალქალაქის რაიონის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობისადმი კონტროლის ქმედითი ფორმა.

*

* *

საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიისა და ბუნებრივი გარემოს კონტროლის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის ამხ. თ. ი. თურმანიძის და საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. ა. მ. ბარაბაძის ინფორმაციები ეხებოდა „საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 31 ივლისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობას. სხდომაზე აღინიშნა, რომ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა მუშაობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესასრულებლად ჯერ კიდევ არასაკმარისია.

1981 წელს სამინისტროს საწარმოთა ყველა სტაციონარული დანადგარიდან ატმოსფეროში გამოყოფილ იქნა 70 ათას ტონაზე მეტი მავნე ნივთიერება, რაც 22 ათასი ტონით აღემატება 1980 წლის მონაცემებს. სამინისტროს საწარმოებიდან გამონაბოლქვმა აირებმა რესპუბლიკის ყველა საწარმოს გამონაბოლქვი აირების 8,2 პროცენტი შეადგინა.

სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ 14 საწარმოში ატმოსფეროს გაჭუჭყიანების 261 წყაროდან 189, ანუ 73 პროცენტი აღჭურვილი არ არის აირგამწმენდი დანადგარებით.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებები უარყოფით ზეგავლენას ახდენს იმ ქალაქისა და რაიონის ატმოსფეროზე, სადაც სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოებია განლაგებული. მაგალითად, ქ. კასპში მტვრის საშუალო წლიური კონცენტრაცია ატმოსფეროში 12-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას, ხოლო გოგირდოვანი გაზების, აზოტის ორჟანგის და მტვრის შემადგენლობა ქ. რუსთავის ატმოსფეროში შესაბამისად 6-ჯერ, 5-ჯერ და 13-ჯერ მეტია ზღვრულად დასაშვებ რაოდენობაზე.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებები გარკვეულწილად განპირობებულია იმითაც, რომ ჯერ კიდევ მთლიანად არ გამოიყენება მავნე გამონაბოლქვების დამჭერი ტექნიკური საშუალებები, აირგამწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენდ და მტვერსაჭერ დანადგართა 30 პროცენტი გაუმართავ მდგომარეობაშია.

ქ. რუსთავში არსებული ატმოსფეროს გაჭუჭყიანების 333 წყაროდან (მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებზე) 123, ანუ 35 პროცენტი, არ არის აღჭურვილი მტვერსაჭერი დანადგარებით; 103 აირგამწმენდი დანადგარიდან 34 გაუმართავია.

განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა შექმნილი რუსთავის ცემენტის ქარხანაში, სადაც ატმოსფეროს გაჭუჭყიანების 29 წყაროდან 15 არ არის აღჭურვილი მტვერსაჭერი დანადგარებით, 14 აირგამწმენდი დანადგარიდან 11 გაუმართავ მდგომარეობაშია. ქარხანა ყოველდღიურად აფრქვევს ატმოსფეროში 86 ტონა მავნე ნივთიერებას, ამასთან დაახლოებით 30 ტონა ნედლეული იკარგება დღე-ღამეში.

სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ბევრ საწარმოში ჯერ კიდევ სათანადო ყურადღება არ ექცევა აირგამწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარების სწორ ექსპლოატაციას და მათ რემონტს (რუსთავის ცემენტის ქარხანა, კასპის ცემენტ-შიფერის კომბინატი, ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანა, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანა, მარნეულის საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეული"), ხოლო ზოგიერთი მათგანი (საგარეჯოს, აჯამეთის, ტყვარჩელის საშენ მასალათა ქარხნები, გურჯაანის აგურის ქარხანა) არ არის აღჭურვილი მტვერდამჭერი დანადგარებით, რის შედეგად ატმოსფერული ჰაერი ინტენსიურად ჭუჭყიანდება.

ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანაში 9 მტვერდამჭერი დანადგარიდან არც ერთი არ მუშაობს, ხოლო გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანაში 32 მტვერდამჭერი დანადგარიდან 22 გაუმართავ მდგომარეობაშია.

კვლავინდებურად საშენ მასალათა სამინისტროს საწარმოებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის საკითხის მოუგვარებლობის ერთ-ერთი მიზეზია დაგეგმილ ღონისძიებათა არასაკმარისი დაფინანსება. მაგალითად, რუსთავის საშენ მასალათა კომბინატს დღემდე არ მიუღია რეკონსტრუქციისათვის განკუთვნილი თანხა.

ხშირად უხარისხოდ და ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი აირგამწმენდი და მტვერსაჭერი დანადგარების მშენებლობა და არსებულის რეკონსტრუქცია.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის საქმეში არსებული ნაკლოვანებები გარკვეულწილად განპირობებულია იმითაც, რომ იმ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სადაც ეს საწარმოებია განლაგებული, ჯერ კიდევ ვერ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას და არ ახორციელებენ სახელმწიფო კონტროლს ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესრულებაზე, არ იღებენ ქმედით ზომებს ამ კანონმდებლობის დამრღვევთა მიმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს მიერ გაწეული მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 31 ივლისის დადგენილების შესასრულებლად ჩათვალა არადამაკმაყოფილებლად და სათანადო დავალებანი მისცა საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიის და ბუნებრივი გარემოს კონტროლის რესპუბლიკურ სამმართველოს, აირგამწმენდი და მტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის კონტროლის საქართველოს რეგიონალურ სახელმწიფო ინსპექციასა და საქართველოს სსრ პროკურატურას.

*
* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა აგრეთვე საკითხები: საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის სახელზე შემოსული მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვის შედეგების შესახებ, მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების თაობაზე, მრავალშვილიანი დედების „გმირი დედის“ საპატიო წოდების მისანიჭებლად წარდგენის შესახებ და სხვ.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა მესტიისა და ახალქალაქის რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მუშაობა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონმდებლობის შესასრულებლად. აღინიშნა, რომ ამ რაიონებში გაიზარდა სოფლის მოსახლეობისადმი სამედიცინო დახმარების განვითარების ღონისძიებისათვის ასიგნებანი. მიუხედავად ამისა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების განხორციელების მხრივ არსებითი ნაკლოვანებებია.

სხდომაზე განხილულ იქნა აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მოხსენება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობის თაობაზე კომისიის 1981 წლის 20 თებერვლის დადგენილების შესრულების შესახებ.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისი თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა დ. კიკნაძემ.

განხილულ საკითხებზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 86 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისის ლენინის რაიონიდან — 2
ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონიდან — 2
ქ. თბილისის კიროვის რაიონიდან — 1
ქ. ქუთაისის ავტოქარხნის რაიონიდან — 1
ქ. ტყიბულიდან — 1
ქ. ჭიათურიდან — 5
ამბროლაურის რაიონიდან — 1
ახალციხის „ — 5
ბოგდანოვკის „ — 2
ბოლნისის „ — 7
გეგეჭკორის „ — 6
ზესტაფონის „ — 1
ზუგდიდის „ — 5
თერჯოლის „ — 2
თიანეთის „ — 1
კასპის „ — 4
კარნეულის „ — 8
მახარაძის „ — 6
მესტიის „ — 9
მცხეთის „ — 3
ორჯონიკიძის „ — 1
სამტრედიის „ — 1
ქარელის „ — 2
ყვარლის „ — 4
ცაგერის „ — 1
ხაშურის „ — 3
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან — 2